

## საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

### სხდომის ოქმი №1

ქ.თბილისი

01.02.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნინო ხოფერია - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის თავმჯდომარე, საბჭოს თავმჯდომარე;

დიმიტრი ალავიძე - შპს - „ვოლ ფაბლიშინგის“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საბჭოს მდივანი;

თეონა კუპატაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

იაგორ კალანდაძე - სს - ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;

მიხეილ კორმახია - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი;

ზაქარია შევლიძე - ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი;

მადონა ჭეიშვილი - შპს - №5 კლინიკური საავადმყოფოს დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

თამარ შუდრა - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

თამარ ურუშაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ჯესპერტები:

კახაბერ თავზარაშვილი;

შორენა ჭურმურიძე;

გიორგი დაღანიძე;

დარეჯან გარდავაძე.

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო დურგლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ეკა ლევაშვილი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნინო დიანოსაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სასწავლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

ზურაბ ჯავახიშვილი - საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი.

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

რესულ დიქტომი - კანცლერი;

ილიას უსტუნიერი - თურქული ფილოლოგიის პროგრამების კოორდინატორი;

ილიას ჩოლოდლუ - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის დეკანი/ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის კოორდინატორი;

ნიკოლოზ ჩიტაძე - საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი;

ეკა ბაკარაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**ქეთევან დოლაკიძე - იურისტი;**  
**ქეთევან ლაფაჩი - ფინანსების პროგრამის კოორდინატორი;**  
**ნათელა დოლონაძე - ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკისა და განათლების მენეჯმენტის პროგრამის კოორდინატორი, პრორექტორი;**  
**გიორგი ბალათურია - მენეჯმენტის პროგრამის კოორდინატორი;**  
**თინათინ კუბლაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;**  
**კახაბერ ჯაფელი - მარკეტინგის პროგრამის კოორდინატორი;**  
**გიორგი ჯამბურია - კომპიუტერული მეცნიერებებისა და საინჟინრო საქმის ფაკულტეტის მკვლევარ-ასისტენტი;**  
**გოდერძი ბუჩაშვილი - ვიცე-კანცლერი, სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების კოორდინატორი;**  
**გაბრანგ როდონაია - კომპიუტერულ მეცნიერებათა პროგრამის კოორდინატორი;**  
**ჯაბირ ერგუვენი - კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.**

**შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „პიონერატეს“წარმომადგენელი -  
დავით კიტეიშვილი - რექტორი.**

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:06 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო

- ურთიერთობების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  16. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  17. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  18. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  19. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  20. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  21. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  22. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  23. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
  24. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის აკრედიტაციის სამართველოს უფროსმა, გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რამდენიმე გადაწყვეტილებაში, კერძოდ, 2011 წლის 30 სექტემბრის №70-ე, 2011 წლის 17 ოქტომბრის №107-ე, 2011 წლის 21 ოქტომბრის №149-ე, 2011 წლის 25 ნოემბრის №334-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №459-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №458-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №457-ე და 2011 წლის 14 დეკემბრის №460-ე გადაწყვეტილებებში დაშვებულ იქნა ტექნიკური ხასიათის უზუსტობები და დააყენა შუამდგომლობა საბჭოს ემსჯელა აღნიშნულ გადაწყვეტილებებში უზუსტობების გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის შესახებ.

საბჭომ იმსჯელა დღის წესრიგში ცვლილების შეტანის შესახებ და ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი განახლებული სახით:

1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო

- (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სადოქტორო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ დიპლომირებული სტომატოლოგის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. შპს - თბილისის სამედიცინო სასწავლო უნივერსიტეტ „ჰიპოკრატეს“ ფარმაციის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2011 წლის 30 სექტემბრის №70-ე, 2011 წლის 17 ოქტომბრის №107-ე, 2011 წლის 21 ოქტომბრის №149-ე, 2011 წლის 25 ნოემბრის №334-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №459-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №458-ე, 2011 წლის 14 დეკემბრის №457-ე და 2011 წლის 14 დეკემბრის №460-ე გადაწყვეტილებებში უზუტობების გასწორების მიზნით ცვლილებების შეტანის საკითხი.

## 1. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი თსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი განვითარება;
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას დროულად მიაწოდონ ინფორმაცია სილაბუსებში მითითებული, განახლებული, სავალდებულო ლიტერატურის შეძენის შესახებ;
- დამსაქმებლებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ გასაუბრებაზე კურსდამთავრებულები განიცდიან კომუნიკაციის უნარის დეფიციტს, შესაბამისად, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერის მეოთხე კრიტერიუმის („კომუნიკაციის უნარი“) სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილია პროგრამაში გაძლიერდეს ზეპირსიტყვიერი (პრეზენტაცია, დისკუსია/დებატები და ა.შ) მეთოდები.
- უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის აღმწერის მეორე კრიტერიუმის („ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“) სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სწავლის მეთოდებს შორის სასურველია გაძლიერდეს პრაქტიკული სავარჯიშოებისა და სიტუაციური ანალიზის ხვედრითი წილი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ, რეკომენდაციებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიწოდების ახალი მექანიზმების შემუშავებაც იყო საჭირო. კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა უკვე მიმდინარეობდა, თუმცა ამ კუთხითაც იგეგმებოდა კვლევის მექანიზმების დახვეწა-განვითარება. ბიბლიოთეკის განახლებასთან დაკავშირებით წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო, ასევე აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნებოდა შეტანილი პროგრამაში სწავლა/სწავლების ახალი მეთოდები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 2. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია კოლოქვიუმების შეფასების წესი, სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, სასურველია პროგრამაშიც იყოს გაწერილი სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმების შეფასების კრიტერიუმები და წესები;
- კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი თსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი განვითარება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა რეკომენდაციებს. როგორც მან აღნიშნა, კოლოქვიუმისა და სემინარის შეფასების წესი უკვე დამტკიცდა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც განთავსდა. მისი თქმით, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ, რეკომენდაციებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიწოდების ახალი მექანიზმების შემუშავებაც იყო საჭირო. მისი განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა უკვე მიმდინარეობდა, თუმცა ამ კუთხითაც იგეგმებოდა კვლევის მექანიზმების დახვეწა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

### **3. ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია კოლოქვიუმების შეფასების წესი, სტუდენტების მაქსიმალური ინფორმირების მიზნით, სასურველია პროგრამაშიც იყოს გაწერილი სადოქტორო სემინარისა და კოლოქვიუმების შეფასების კრიტერიუმები და წესები;
- კვალიფიკაციის აღმწერით განსაზღვრული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, სასურველია სტუდენტები მეტად იყვნენ ინფორმირებულნი თსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებითა და გაცვლითი პროგრამების შესახებ;
- მიზანშეწონილია პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მექანიზმების შემდგომი განვითარება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. როგორც მან აღნიშნა, კოლოქვიუმისა და სემინარის შეფასების წესი უკვე დამტკიცდა და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც განთავსდა. მისი თქმით, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობდა ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსებისა და გაცვლითი პროგრამების შესახებ სტუდენტებისათვის სრულყოფილი ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ, რეკომენდაციებმა აჩვენა, რომ ინფორმაციის მიწოდების ახალი მექანიზმების შემუშავებაც იყო საჭირო. მისი განმარტებით, კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა უკვე მიმდინარეობდა, თუმცა ამ კუთხითაც იგეგმებოდა კვლევის მექანიზმების დახვეწა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

#### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

#### 4. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომარებილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის დასაქმების სფეროებიდან (კერძოდ, გარემოსდაცვასა და ეკოლოგიურ მონიტორინგთან, ნავთობისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის კვლევა-მოპოვებასთან დაკავშირებული საქმიანობა), ასევე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებიდან და კომპეტენციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, პროგრამის სტრუქტურაში სათანადო ასახვა პპოვოს ეკოლოგიურმა და გარემოს დაცვითმა დისციპლინებმა, სასარგებლო წიაღისეულის დაზერვის, ძიებისა და მოპოვების გეოფიზიკურმა და გეოლოგიურმა დისციპლინებმა.
- სასურველია სასწავლო კურსების კომპეტენციები და სასწავლო კურსის წინაპირობები დაკონკრეტდეს. შესაბამისად, კურიკულუმში წარმოდგენილ კომპეტენციათა რუკაში კომპეტენციები გაიწეროს ამ კონკრეტიკის გათვალისწინებით.
- სასურველია კურიკულუმში ნათლად მიეთიოს არჩევითი საგნების ნუსხიდან ასარჩევი კრედიტების რაოდენობა.
- ექსპერტთა ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, სადოქტორო პროგრამაში სათანადო ასახვა პპოვოს პედაგოგიურმა დისციპლინებმა, რადგან გარდა სამეცნიერო მუშაობისა, დოქტორანტს აქვს უფლება წაიკითხოს სასწავლო კურსები უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, შესაბამისად, ამ კუთხით საჭირო კომპეტენციების გამომუშავებისათვის აუცილებელია პედაგოგიკის მნიშვნელოვანი საკითხების თეორიული და პრაქტიკული ცოდნა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს, ამასთან, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე, კურსდამთავრებული შეძლებდა გარემოს დაცვის სფეროებში დასაქმებას, შესაბამისად, ეკოლოგიური საგნების დამატებით გავლის საჭიროება არ არსებობდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია) სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 5. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენება;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა რეკომენდაცია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენების შესახებ. ექსპერტმა, გიორგი ლადანიძემ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ პროგრამის ფარგლებში სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა არ იქნებოდა შემოფარგლული მხოლოდ საკონსულტაციო საათებით, რეალურად, ამ დაწესებულების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობის სხვა ფორმებიც იყო გამოყენებული, თუმცა მათ ასახვა ვერ ჰქონება საგანმანათლებლო პროგრამაში, ამდენად, დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ ინდივიდუალური მუშაობის აღნიშნული ფორმები ასახულიყო პროგრამაშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, პრაქტიკაში სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენებოდა, რაც აუცილებლად აისახებოდა პროგრამაშიც, პროგრამის ფინანსური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაწესებულებას, ცხადია, ფინანსური გეგმა ჰქონდა, მაგრამ მასში არ იყო მოცემული დაყოფა პროგრამების მიხედვით, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მათთვის მისაღები იყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2

პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მარკეტინგის სამაგისტრო (ინგლისურენოვან) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 6. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენება;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა რეკომენდაცია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენების შესახებ. ექსპერტმა, გიორგი ღადანიძემ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ პროგრამის ფარგლებში სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა არ იქნებოდა შემოფარგლული მხოლოდ საკონსულტაციო საათებით, რეალურად, ამ დაწესებულების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობის სხვა ფორმებიც იყო გამოყენებული, თუმცა მათ ასახვა ვერ ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამაში, ამდენად, დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ ინდივიდუალური მუშაობის აღნიშნული ფორმები ასახულიყო პროგრამაშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მან დაადასტურა, რომ პრაქტიკაში ინდივიდუალური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენებოდა, რაც აუცილებლად აისახებოდა პროგრამაშიც, პროგრამის ფინანსური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაწესებულებას, ცხადია, ფინანსური გეგმა ჰქონდა, მაგრამ მასში არ იყო მოცემული დაყოფა პროგრამების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მათთვის მისაღები იყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## 7. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლიკა გიორგაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენება;
- მიზანშეწონილია შემუშავდეს საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური გეგმა.

თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტს, დაეკონკრეტებინა რეკომენდაცია ინდივიდუალური მუშაობის არამხოლოდ საკონსულტაციო ფორმის გამოყენების შესახებ. ექსპერტმა, გიორგი ღადანიძემ აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა, თუ პროგრამის ფარგლებში სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა არ იქნებოდა შემოფარგლული მხოლოდ საკონსულტაციო საათებით, რეალურად, ამ დაწესებულების შემთხვევაში, ინდივიდუალური მუშაობის სხვა ფორმებიც იყო გამოყენებული, თუმცა მათ ასახვა ვერ ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამაში, ამდენად, დაწესებულებას გაეწია რეკომენდაცია, რომ ინდივიდუალური მუშაობის აღნიშნული ფორმები ასახულიყო პროგრამაშიც.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, პრაქტიკაში ინდივიდუალური მუშაობის მრავალფეროვანი ფორმები გამოიყენებოდა, რაც აუცილებლად აისახებოდა პროგრამაშიც, პროგრამის ფინანსური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ დაწესებულებას, ცხადია, ფინანსური გეგმა ჰქონდა, მაგრამ მასში არ იყო მოცემული დაყოფა პროგრამების მიხედვით, ამდენად, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები მათთვის მისაღები იყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **8. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმომადგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ შუდრამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია სტუდენტთა შეფასების კრიტერიუმებში დასწრების კომპონენტი მოიცავდეს სტუდენტის აქტივობას მეცადინეობაზე;
- პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა „ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა“. მიზანშეწონილია, პროგრამაზე დაშვების პირობებში დაფიქსირდეს ინგლისური ენის კონკრეტული დონე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია უკვე გათვალისწინებული იყო.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დაყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის კომპიუტერული მეცნიერების სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **9. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ლევან მადათოვამა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიღებული ცოდნის პრაქტიკაში უფრო ეფექტურად გამოყენების მიზნით, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამით გაძლიერდეს პრაქტიკული სწავლების კომპონენტი;
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრი, თეონა კუპატაძე დაინტერესდა, რა ნაბიჯები გადადგა დაწესებულებამ პრაქტიკულ კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ამერიკისმცოდნეობის ცენტრი და სტუდენტები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას პრაქტიკაში, ურთიერთობა ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან, თუმცა, ძნელი იყო ასეთი ტიპის დაწესებულებებში ბევრი სტუდენტის გაშვება. წარმომადგენელის განმარტებით, პრაქტიკული სწავლების კომპონენტის გაძლიერების მიზნით მიმდინარეობს მუშაობა სხვა დამსაქმებლებთანაც.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

### **კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **10. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა თამარ ურუშაძემ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები: სასურველია, სასწავლო სილაბუსები გახდეს უფრო მრავალფეროვანი, ძირითადი და დამხმარელიტერატურის დამატების გზით;

- სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად სასურველია განისაზღვროს სასწავლო კომპონენტის შესრულება (მით უფრო, რომ პროგრამის კურიკულუმში სასწავლო და კვლევითი კომპონენტის სემებრული განაწილება ასეც არის გათვლილი - ჯერ სასწავლო დისციპლინები, შემდეგ სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა);
- არჩევითი საგნების მოცულობა პროგრამაში, სასურველია, გაიზარდის;
- სილაბუსთა ნაწილში სასწავლო კურსის წინაპირობად მითითებულია არა კონკრეტული სასწავლო კურსი, რომლის წინასწარ გავლა აუცილებელია, არამედ ზოგადი კომპეტენციები, სასურველია, ყველგან მოხდეს უნიფიციირება და წინაპირობად მხოლოდ სასწავლო კურსი იყოს დასახელებული;
- სწავლების ენა თურქული ფილოლოგიის პროგრამაზე არის თურქული, თუმცა ეტყობა, უნივერსიტეტის სხვა პროგრამების ანალოგით, სადაც სწავლების ენა ინგლისურია, აქაც სილაბუსები ინგლისურადაა შედგენილი, რომელთა ქართული თარგმანი დასახვერია;
- თურქული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმება ორი ქვეყნის (საქართველოს და თურქეთის) შრომით ბაზარზე მოიაზრება ყველა იმ სფეროში, რაც პროგრამის აღწერაშია ჩამოთვლილი. ქართულ სივრცეში დასაქმებული თურქოლოგის - თურქული ფილოლოგიის სპეციალისტის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სფეროდ თარგმანი მოიაზრება (უშუალოდ თარგმანის ხაზით იქნება ის დასაქმებული თუ ნებისმიერი ტიპის ქართულ-თურქულ სასწავლო-საგანმანათლებლო თუ ბიზნეს-სექტორის დაწესებულებაში). შესაბამისად, სასურველია, ქართულ-თურქული და თურქულ-ქართული თარგმანის სპეციფიკის ამსახველი სასწავლო კურსის ჩართვა პროგრამაში, ასევე ქართული ენის კურსისაც, რადგან თარგმანი შეორე ენას, ამ ენის სისტემის სრულყოფილად ცოდნას აუცილებლად გულისხმობს. უნივერსიტეტი კარგ შესაძლებლობას აძლევს თავის სტუდენტებს - კერძოდ, ქართული ენის შესწავლის მსურველებს უნივერსიტეტის ენების ცენტრში უფასოდ შეისწავლონ ქართული ენა (ეს არ აისახება მათ კრედიტებში და პროგრამებში). პროგრამაზე რეგისტრირებული უცხოელი სტუდენტების მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს, რომ სასურველია, ამგვარი კურსი თვითონ პროგრამაში ჩაიდოეს.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

საბჭოს წევრმა, თეონა კუპატაძემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ეროვნების სტუდენტები სწავლობდნენ პროგრამაზე. წარმომადგენელის თქმით,

აღნიშნულ პროგრამაზე ძირითადად თურქეთიდან, თურქმენეთიდან და ალბანეთიდან ჩამოსული სტუდენტები სწავლობდნენ.

საბჭოს წევრი, თეონა კუპატაძე დაეთანხმა ექსპერტთა რეკომენდაციას და განაცხადა, რომ პროგრამაში ქართული ენის შემსწავლელი კურსის ჩართვა მიზანშეწონილი იყო, მითუფრო, რომ სტუდენტთა უმრავლესობა უცხოენოვანი იყო და ქართულ ენაზე კომუნიკაცია მათთვის სირთულეს წარმოადგენდა.

დაწესებულების წარმომადგენელის განაცხადებით, ქართული ენის შესწავლის მსურველებს უნივერსიტეტის ენების ცენტრში შესაძლებლობა ჰქონდათ უფასოდ დაუფლებოდნენ ქართულ ენას, თუმცა მისი განმარტებით, სრულიად მისაღები იყო ექსპერტთა რეკომენდაცია და უახლოეს მომავალში მოხდებოდა სასწავლო კურსის უშუალოდ პროგრამაში ჩართვა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

საბჭოს თავმჯდომარე კენჭისყრაზე დააყენა შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

#### კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

#### გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების - შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის თურქული ფილოლოგის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

## **11. შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო (ინგლისურენოვანი) პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა**

